

თემა 1. ჩვენი სკოლის ეზო

შესავალი

„ჩვენი სკოლის ეზო“ განეკუთვნება საგანმანათლებლო რესურსების კრებულს „შევიმეცნოთ სამყარო ქართულ ენაზე“, რომელიც განკუთვნილია დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთათვის.

კრებული ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის ბუნებისმეტყველების I-IV კლასების ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და მიზნად ისახავს საგნისა და ენის ინტეგრირებულად სწავლა-სწავლებას ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

კრებული „შევიმეცნოთ სამყარო ქართულ ენაზე“ მოიცავს თემატურ კომპლექტებს. თითოეული კომპლექტი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- **დონეების მიხედვით დაყოფილი წიგნები** - ესაა ერთსა და იმავე თემატიკაზე აგებული მცირე ზომის დასურათებული წიგნები, რომლებიც ერთმანეთისგან სირთულის დონით განსხვავდება. თითოეულ წიგნში საფეხურებრივად რთულდება საგნობრივი და ენობრივი შინაარსი. შესაბამისად, ცალკეული დონის წიგნში მოცემული ინფორმაციის შესწავლა მოსწავლეს მოამზადებს მომდევნო დონის ასათვისებლად.
- **პოსტერები** - საგანმანათლებლო ფუნქციის მქონე თვალსაჩინოებები, რომლებიც გამოიყენება აქტივობების დროს.
- **მასწავლებლის გზამკვლევი** - ეს რესურსი მასწავლებელს სთავაზობს მრავალფეროვან თანამიმდევრულ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოსწავლეებს დაეხმარება წიგნებში წარმოდგენილი ცნებების, საკითხების

გააზრებულად და აქტიურად სწავლაში, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარების დაუფლებაში.

თითოეული თემის გზამკვლევი შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

გზამკვლევის პირველ ნაწილში მოცემულია სიტყვათა ბანკი, ანუ ძირითადი ლექსიკა, რომლის ათვისება-განმტკიცებას ხელი უნდა შეუწყოს თემის შესწავლამ.

გზამკვლევის მეორე ნაწილში ცხრილის სახითაა წარმოდგენილი თემის მთლიანი გეგმა. სასწავლო თემა იგეგმება შემდეგი კომპონენტების გამოყენებით:

თემა	
საკვანძო ცნებები	საკვანძო კითხვები
შეფასების ინდიკატორები	

- **ცნებები** - ცნებების სახითაა განსაზღვრული ის საგნობრივი ცოდნა, რომელსაც უნდა დაეუფლოს მოსწავლე თემის ფარგლებში.
- **საკვანძო შეკითხვები** - აღვიძებს მოსწავლის ცნობისმოყვარეობას და მის წინარე ცოდნას უკავშირებს თემის ფარგლებში დასამუშავებელ ცნებებს. საკვანძო კითხვები, როგორც ვექტორები, თემის სწავლა-სწავლების პროცესს შედეგებისკენ მიმართავს.
- **შეფასების ინდიკატორები** - ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ მოცემული თემის შესწავლისას. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით შეიძლება შემუშავდეს კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

გზამკვლევის მესამე ნაწილში წარმოდგენილია თემის მიმდინარე და შემაჯამებელი აქტივობები. აქტივობები დაჯგუფებულია ეტაპებად, რომლებიც გამოყოფილია საკვანძო კითხვების მეშვეობით. ამდენად, თითოეული ეტაპი ემსახურება 1-3 საკვანძო შეკითხვის დამუშავებას.

დანართი - გზამკვლევს ახლავს სამი დანართი.

- პირველ დანართში მოცემულია შესავსები ცხრილი. ცხრილის პირველ სვეტში მოცემულია წინამდებარე გზამკვლევის აქტივობათა ნუმერაცია, მომდევნო სვეტი კი განკუთვნილია მასწავლებლის შენიშვნებისა თუ კომენტარებისათვის. კერძოდ, მასწავლებელს შეუძლია ჩაწეროს: რამდენად გამოადგა შესაბამისი ნუმერაციის აქტივობა, ხომ არ იყო ის მეტისმეტად რთული / მარტივი, დასჭირდა თუ არა დამატებითი მასალის ან აქტივობის გამოყენება; ან საერთოდ, ხომ არ ჩაანაცვლა ეს აქტივობა სხვა აქტივობით, რომელიც უფრო ეფექტიანად ჩათვალა (და მოსწავლეთა მიერ წარმატებით შესრულდა).
- მეორე დანართში შეთავაზებულია ამოსაჭრელი სურათები და სიტყვები, რომლებიც მოსწავლეებს აქტივობების შესასრულებლად დასჭირდებათ.
- მესამე დანართში წარმოდგენილია მოსწავლეთათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები.

თემა 1. ჩვენი სკოლის ეზო

პირველი ნაწილი

ძირითად სიტყვათა ბანკი	
ცხოველი	მწერი, ბუზი, ჭიანჭველა, მატლი, მუხლუხო, ჭიანჭველა, მავნე მწერები; ფრინველი, შოშია, ბელურა, ბარტყი; ბაყაყი, თავკომბალა, კატა, კნუტი, ნაშიერი
მცენარე	ხე, ბუჩქი, ყვავილი, სარეველა ბალახი, ბოსტნეული: სტაფილო, კომბოსტო; ხილი: ვაშლი, მსხალი; ფოთოლი, მარცვლეული, კაკალი, თხილი,
სხეულის ნაწილები	ტანი, თავი, კიდურები; კუდი, ფრთა, ნისკარტი, რქა, ყური, ბაკანი, ნიჟარა, ჩლიქი, ბრჭყალი
საფარველი	ბეწვი, ბუმბული
მიმართებები	დიდი/პატარა, გრძელი/მოკლე, მაღალი/დაბალი, მარჯვნივ/მარცხნივ, წინ/უკან, ახლოს/შორს
ფერი	თეთრი, შავი, ლურჯი, ყვითელი, წითელი, ვარდისფერი, მწვანე, იასამნისფერი
ეზო, ბაღი	ბოსტანი, სათბური, სათავსო, სამუშაო იარაღი, ბარი, თოხი, სარწყავი, ხელთათმანი, მიწა, ბელტი, ფხვიერი, მოქმედებები: გაფხვიერება, მოთოხვნა, დაბარვა, გამარგვლა, ზიანის მიყენება, სარგებლის მოტანა, გაფუჭება, გახმობა, გამრავლება.

მეორე ნაწილი - სასწავლო თემის გეგმა

თემა: მწვანე სკოლა	სასწავლო საათების საორიენტაციო რაოდენობა: 14 +/-4
საკვანძო ცნებები	საკვანძო შეკითხვები:
<p>კვლევა: დაკვირვება, შედარება, ამოცნობა, დახარისხება;</p> <p>ცოცხალი სხეული:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცხოველების სხეულის ნაწილები; • მცენარის სხეულის ნაწილები, საფარველი; • ცხოველების სასიცოცხლო მოთხოვნილებები: საკვები, წყალი, ჰაერი, თავშესაფარი; • მცენარის სასიცოცხლო მოთხოვნილებები: სინათლე, ჰაერი, სითბო, წყალი, ნიადაგი <p>კითხვის სტრატეგია</p>	<ul style="list-style-type: none"> • რა საერთო და განმასხვავებელი გარეგნული ნიშნები აქვთ ეზოებში/ბაღებში მოზინადრე ცხოველებს/მცენარეებს? • როგორ მოვუაროთ ეზოს/ბაღის ცხოველებს? • როგორ მოვუაროთ ეზოს/ბაღის მცენარეებს? • რატომ ამზადებენ სამუშაო იარაღებს სხვადასხვა მასალისგან? • როგორ შევადგინო ადგილის გეგმა? • რა კავშირია ეზოს/ბაღის მცენარეებსა და ცხოველებს შორის? • როგორ უნდა მოვუაროთ ეზოს? • როგორ მოვიქცე, რომ გამიადვილდეს ტექსტის გაგება?
<p>შეფასების ინდიკატორები:</p> <p><i>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • პრაქტიკულ აქტივობებში ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების (დაკვირვება, ამოცნობა, შედარება, დახარისხება) დემონსტრირება; • ცხოველთა და მცენარეთა ნაწილების ამოცნობა და დასახელება; • ეზოს/ ბაღის ცხოველთა ან მცენარეთა შედარება, მსგავსება-განსხვავებების დადგენა; • სხეულების შედარება შემადგენელი ნივთიერების/მასალის თვისებების მიხედვით; • ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება; • საგანთა, მოვლენათა თვისებების აღქმის დაკავშირება შეგრძნების შესაბამის ორგანოსთან; • ეზოს/ბაღის მოწყობა-მოვლაზე შექმნილი საინფორმაციო ტექსტის გაგება, ამავე თემაზე მცირე საინფორმაციო ტექსტების შედგენა. 	

მესამე ნაწილი

თემის დამუშავების ეტაპები

I ეტაპი


- რა საერთო და განმასხვავებელი გარეგნული ნიშნები აქვთ ეზოს და ბაღის ცხოველებს/მცენარეებს?
- როგორ მოვუაროთ ეზოს/ბაღის ცხოველებს? (ცნებები: სხეულის ნაწილები, სასიცოცხლო მოთხოვნილებები: წყალი, ჰაერი, კვება, თავშესაფარი);
- როგორ მოვუაროთ ეზოს/ბაღის მცენარეებს? (ცნებები: მცენარის ნაწილები, სასიცოცხლო მოთხოვნილებები: სინათლე, სითბო, წყალი, ნიადაგი)

რესურსი:

- ლუპა, ჭიანჭველები ქილაში; კოვზი, ქილა,
- ბარი, ქვიშით სავსე პატარა პარკი;
- ოთხივე დონის წიგნის ილუსტრაციები; ქართული ენა, სახელმძღვანელო დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის¹


¹რესურსები: *ქართული ენა 1, თემა 5 (მე მიყვარს ბუნება)* - სახელმძღვანელო დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის, (მ. მელიქიძე, ნ. გორდელაძე); თბილისი, 2011;
ქართული ენა 2, თემა 6 (ცხოველების სამყაროში) - სახელმძღვანელო დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის, (მ. მელიქიძე, ნ. გორდელაძე); თბილისი, 2011;
ქართული ენა 3, თემა 3 (წყლის სამყაროში) - სახელმძღვანელო დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის, (მ. მელიქიძე, ნ. გორდელაძე); თბილისი, 2011;
ქართული ენა 4, თემა 3. (მწერების სამყაროში) სახელმძღვანელო დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის, (მ. მელიქიძე, ნ. გორდელაძე); თბილისი, 2011.

1. **ინტერაქცია ცხოველების პოსტერებზე დაყრდნობით** - ცხოველების პოსტერს დაამუშავებთ. საორიენტაციო შეკითხვები: *რომელი ცხოველი გინახავთ? სად გინახავთ? რომელი ცხოველის დასახელება იცით ქართულად? რომელი ცხოველი გყავთ სახლში? რომელი ცხოველი გიყვართ ყველაზე მეტად? და სხვ.* (მიზანი: ინტერესის პროვოცირება, წინარე ცოდნის გააქტიურება).
2. **ჩემი საყვარელი ცხოველი** - მოსწავლეები ხატავენ თავიანთ საყვარელ ცხოველებს; თქვენი დახმარებით აღწერენ, რა ცხოველია; ნახატებს გამოფენთ და მსურველები, თქვენი დახმარებით, აღწერენ საკუთარ დახატული ცხოველის სხეულის ნაწილებს. დამხმარე შეკითხვები: *რა აქვს შენს საყვარელ ცხოველს? თავი აქვს? ტანი აქვს? აბა, მაჩვენე! კიდურები/ფეხები აქვს? ფრთები აქვს?* და მისთ. დასახელებულ სხეულის ნაწილებს დაფაზე ჩამოწერთ. (მიზანი: ინტერესის პროვოცირება, წინარე ცოდნის გააქტიურება, ლექსიკური მარაგის განმტკიცება-გამდიდრება).
3. **შექმნათ ორენოვანი ილუსტრირებული პოსტერი!** - ყველა მოსწავლე საკუთარი ნახატის გარეთ ისრებით გამოიტანს ცხოველის სხეულის თითოეულ ნაწილს და მიაწერს ამ ნაწილების აღმნიშვნელ სიტყვებს ორივე ენაზე (ქართულად და მშობლიურ ენაზე). ამ ნახატებს დააწებებთ დიდი ფორმატის ქაღალდზე. მოსწავლეების მიერ მომზადებულ ამ რესურსს გამოიყენებთ ცხოველებსა და მათ ნაწილებზე ინტერაქციისთვის. დაფაზე დაწერეთ საყრდენი კონსტრუქციები: *„ეს არის ...“; „მას აქვს ...“* (მიზანი: ცხოველების აღწერა, ცნების - სხეულის ნაწილები - ამოცნობა და დასახელება, ლექსიკური ცოდნის განმტკიცება).
4. **ცნობის ფურცელი „ცხოველთა კვება“** - მოსწავლეთა ჯგუფებმა უნდა მოამზადონ ჩამონათვალი იმ საკვებისა, რომლითაც იკვებებიან მათ მიერ შექმნილ პოსტერზე ასახული ცხოველები. მუშაობის შედეგები გაანალიზდება და გასწორდება. მოსწავლეთა ჯგუფები გაინაწილებენ ცხოველებს, მოამზადებენ ილუსტრირებულ ცნობარს, რომელშიც მითითებული იქნება ცხოველები და მათი შესაბამისი საკვები. შექმნილ რესურსებს გამოაფენთ, დაფაზე დაწერთ ქვემოთ მოცემულ სქემას და ინტერაქციის გზით მოსწავლეებს გაავარჯიშებთ ქვემოთ მოცემულ კონსტრუქციაზე:



5. **დაწეროთ ცხოველის დახასიათება** - მოსწავლეები ირჩევენ პოსტერიდან ორ ცხოველს და წერენ დახასიათება შემდეგი სამი კონსტრუქციის გამოყენებით: „ეს არის . . .“, „მას აქვს . . .“, „იგი იკვებება -----ით“;
6. **შევადართ ცხოველები!** - ცხოველების შესადარებლად გამოიყენებთ ვენის დიაგრამას. ჯერ მართული პრაქტიკით წაიყვანთ პროცესს, შემდეგ მოსწავლეებს დამოუკიდებლად ამუშავებთ წყვილებში ან პატარა ჯგუფებში. ნამუშევრებს ერთად განიხილავთ და გაასწორებთ შეცდომებს (მიზანი: ცხოველების სხეულის ნაწილების იდენტიფიცირება).
- შენიშვნა: ცხოველთა სხეულის ნაწილები უნდა ეწეროს დაფაზე ან დიდი ფორმატის ქაღალდზე, რათა ისინი თვალსაჩინო იყოს მოსწავლეებისათვის.*

ვენის დიაგრამის მაგალითი:



7. **გამოცანები ცხოველებზე** - ილუსტრაციებზე დაყრდნობით, ამზობთ გამოცანას, ანუ ასახელებთ გამოსაცნობი ცხოველის მახასიათებლებს (მაგ., ზომას, შეფერილობას, სხეულის ნაწილებს, საფარველსა და სხვ.). მოსწავლეებმა უნდა გამოიგონონ და დაასახელონ ცხოველი (მიზანი: ლექსიკური ცოდნის განმტკიცება).
8. **მართალია/მცდარია** - ილუსტრაციებზე დაყრდნობით, წარმოთქვამთ დებულებებს, რომლებიც შეესაბამება ან არ შეესაბამება სინამდვილეს (მაგ., მალს აქვს რქები, დათვს აქვს კუდი, კუს აქვს ნისკარტი). მოსწავლეებმა უნდა თქვან, მართალია თუ მცდარია ეს დებულება (მიზანი: ლექსიკური ცოდნის განმტკიცება).
9. **დავხატოთ ჭიანჭველა** - დაუსვით მოსწავლეებს რამდენიმე შეკითხვა ჭიანჭველაზე, მაგ.: *გინახავთ თუ არა ჭიანჭველა? როგორია? თვალები აქვს? ტანი აქვს? ფეხები აქვს? რამდენი ფეხი აქვს? ყურები აქვს?* პასუხებს არ გაუსწორებთ. ამის შემდეგ თითოეულმა მოსწავლემ უნდა დახატოს ჭიანჭველა ისე, როგორც წარმოუდგენია თავისი ვარაუდით. მოსწავლეები გამოფენენ ნახატებს და თქვენი დახმარებით აღწერენ მათ. ნამუშევრებს შეინახავთ (მიზანი: ინტერესის

პროვოცირება, წინარე ცოდნის გააქტიურება, ლექსიკური მარაგის განმტკიცება-გამდიდრება).

10. **დაკვირვება ჭიანჭველაზე** - კლასში ქილით მოიტანთ ჭიანჭველებს, ან მოსწავლეების დახმარებით შეაგროვებთ ქილაში ჭიანჭველებს (უმჯობესია, დასაკვირვებლად ეზოშიც გახვიდეთ, თან წაიღოთ ლუპა, ქილა და ცოტა შაქრის ფხვნილი, რომ ჭიანჭველებს დავუყაროთ). მოსწავლეები ლუპით დააკვირდებიან ჭიანჭველებს; თქვენი დახმარებით, აღმოაჩენენ და დაასახელებენ ჭიანჭველას სხეულის ნაწილებს (ორი ულვაში, 6 ფეხი, სამნაწილიანი სხეული); შეიძლება ქილაში ჩააწვეთოთ ერთი პატარა წვეთი შაქრის სიროფიც, რათა მოსწავლეები უკეთ დააკვირდნენ ჭიანჭველების მოძრაობასა და ქცევას. დაკვირვების შემდეგ, მოსწავლეებთან ერთად აუცილებლად დააბრუნებთ ჭიანჭველებს თავიანთ ბუნებრივ გარემოში. დაკვირვების შედეგებს მოსწავლეთა მონაწილეობით დაფაზე ჩამოწერთ (მიზანი: მწერის აგებულების გაცნობა, ინტერესის პროვოცირება, დარგობრივი ლექსიკის ათვისება).
11. **ძველი და ახალი ნახატი** - მოსწავლეები დაკვირვების საფუძველზე დაყრდნობით თავიდან ხატავენ ჭიანჭველას, მისი სხეულის ნაწილებს უკეთებენ წარწერებს. ბოლოს, გამოფენთ ძველ და ახალ ნახატებს, მოსწავლეები შეადარებენ ძველ და ახალ ნახატებს, დაასახელებენ განსხვავებებს, გამოავლენ მცდარ წარმოდგენებს, რომლებიც მათ ჰქონდათ ჭიანჭველის შესახებ (მიზანი: მწერის აგებულების გაცნობა, ინტერესის პროვოცირება, დარგობრივი ლექსიკის ათვისება).
12. **წყალს ატარებს თუ არა?** - ეზოში წაიღებთ სხვდასხვა წყალგამტარ და წყალგაუმტარ მასალასა და ნივთებს (მაგ., ბამბას, მუშამბის ნაჭერს, ქალაღის პარკს, წყალგაუმტარ პარკს, ქოლგასა და სხვ.), გამოიყენებთ ასევე ეზოში არსებულ მასალებსა თუ სხეულებს (მაგ. ქვას, მიწას, ფოთოლს და სხვ.); მოიმარაგებთ წყალს და მოსწავლეებს ჩაატარებინებთ მარტივ ცდას იმის გასარკვევად, თუ რომელი საგანი ატარებს წყალს, რომელი - არა; რომელი ადვილად ატარებს, რომელი - ძნელად. გაასიტყვებთ განხორცილებულ მოქმედებებსა და შედეგებს (მაგ. *ჩაასხი წყალი ქალაღის პარკში და პარკმა წყალი გაატარა - ქალაღი წყალგამტარია; მუშამბა არ ატარებს წყალს, მუშამბა წყალგაუმტარია და მისთ.*). გასიტყვების გარდა, ინტერაქციის საშუალებით მოსწავლეებს გამოაყენებინებთ ამ ახალ დარგობრივ ლექსიკას (მაგ., *ამ საგნებიდან რომელი ატარებს წყალს? ეს ნივთი წყალგამტარია თუ წყალგაუმტარი? და სხვ.*) (მიზანი: დარგობრივი ლექსიკის ათვისება: *წყალგამტარი, წყალგაუმტარი, სველი, ოდნავ სველი - ტენიანი*).
13. **ვეშადავით სამოგზაუროდ** - შესთავაზეთ მოსწავლეებს, წარმოიდგინონ შემდეგი სიტუაცია: ისინი მიდიან ისეთ ქვეყანაში სამოგზაუროდ, სადაც ძალიან ხშირად წვიმს. მათ მოუწევთ წვიმიან დღეებში ფეხით სიარული და დიდი მანძილის

გავლა. ჩამოწერეთ ნივთები, რომლებსაც მოსწავლეები წაიღებენ ამ ქვეყანაში სამოგზაუროდ. ეს ყველა ნივთი ადამიანის მიერ არის შექმნილი. მოსწავლეებმა უნდა ახსნან, რატომ შეარჩიეს ეს ნივთები.

14. დაკვირვებები ნიადაგზე:

ა) მოსწავლეებს პრაქტიკაზე დაფუძნებით უნდა გააგებინოთ შემდეგი ტერმინების მნიშვნელობა - *ფხვიერი ნიადაგი, გაფხვიერება*. ამისთვის გაიყვანოთ მათ სკოლის ეზოში, თან გაიყოლებთ ბარს, რამდენიმე ბელტს ამოაბრუნებთ. ბარით გააფხვიერებთ ერთ ბელტს, მეორეს კი ხელს არ ახლებთ. მოსწავლეები ხელით ეხებიან ჯერ ერთ ბელტს, შემდეგ მეორეს. მათ უნდა დაახასიათონ თითოეული მათგანი (მაგარია, ფხვიერია).

ბ) **დაკვირვებები მიწის წყალგამტარიანობაზე** - მაგიდაზე მოათავსებთ მიწით სავსე ორ ქოთანს. ქოთნებში მიწა დატკეპნილია. ერთ-ერთ ქოთანში ჩანგლით გააფხვიერებთ მიწას, მეორე ქოთანს კი ხელს არ ახლებთ; ეკითხებით მოსწავლეებს, რომელ ქოთანში უფრო სწრაფად გავა წყალი მორწყვის დროს. მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს. ამის შემდეგ ერთდროულად დაახამთ ერთი და იმავე რაოდენობის წყალს ორივე ქოთანში (შესაძლებელია მოსწავლეებიც დაიხმაროთ). მოსწავლეები დგანან მაგიდის გარშემო, აკვირდებიან პროცესს და გამოაქვთ სათანადო დასკვნები.

განხორციელებულ მოქმედებათა გასიტყვებით მოსწავლეებს გააგებინებთ და ინსტრუქციის საშუალებით აათვისებინებთ შემდეგ სიტყვებსა და ფრაზებს: *მიწის ბელტი, მიწის ბელტის გაფხვიერება, ფხვიერი მიწა, დატკეპნილი მიწა, წყალს ატარებს, წყალგამტარიანი, სველი მიწა, ტენიანი მიწა.*

შენიშვნა: ამ სიტყვების ცოდნა მოსწავლეებს მომდევნო მასალის ასათვისებლად დასჭირდებათ. ასე რომ ამ დაკვირვებისთვის დროის გამოყოფა ნუ დაგეგნავთ - გახსოვდეთ, რომ კეთებით სწავლა გაგება-დამახსოვრებას უწყობს ხელს (მიზანი: დარგობრივი ლექსიკის გაგება-ათვისება).

15. ჭიანჭველების „ფერმა“- ქვემოთ მოცემულია ჭიანჭველის „ვივარიუმის“, ასე ვთქვათ, „ფერმის“ შექმნის დეტალური ინსტრუქცია. მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, ორი-სამი კვირის განმავლობაში დააკვირდნენ ჭიანჭველების ცხოვრების წესს. ეს გაზრდის მათ ცნობისმოყვარეობას ბუნებისადმი და ცოდნის შეძენის პროცესზეც დადებითად იმოქმედებს. ინსტრუქცია 11 ნაბიჯს მოიცავს. აქვე მივუთითებთ იმ ნაბიჯებს, რომელთა განხორციელებაშიც მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ. ასევე აღვნიშნავთ საყურადღებო დეტალებს.

16. მოსწავლეები ჩაერთვებიან შემდეგ ნაბიჯების განსახორციელებლად:

17. მეორე ნაბიჯი - ვივარიუმის მიწის მომზადება;

18. **მესამე ნაბიჯი** - - ჭიანჭველების ბუდის აღმოჩენა; მათი ბუდე გორაკს წააგავს და ზედა ნაწილში პატარა ხვრელი აქვს. შეიძლება ბუდესთან შაქარი დაყაროთ. მოსწავლეები ნახავენ, როგორ ორგანიზებულად დაიწყებენ ჭიანჭველები ამ შაქრის ათვისებას.

19. **მექვსე და მეშვიდე ნაბიჯები** - ოპერაციებს თქვენ განახორციელებთ, მაგრამ მოსწავლეებს დააკვირვებთ პროცესზე და დაუსვამთ ორ ურთიერთდაკავშირებულ მაპროგნოზირებელ შეკითხვას: *რატომ არ უნდა დავტკეპნოთ ვივარიუმის მიწა? რატომ ვუკეთებ ვივარიუმის სახურავს პატარა ნახვრეტებს?*

დააცდით ვარაუდების გამოთქმას. შემდეგ სხვადასხვა ხერხით დაეხმარებით ამ კითხვებზე პასუხის პოვნაში (ჭიანჭველებს ჰაერი სჭირდებათ) - მაგ., ღრმად შეასუნთქვინებთ და გამოსუნთქვისას პირთან ხელს მიატანინებთ, ასევე შესუნთქვისას მკერდზე ხელის დაადებინებთ და ამის საფუძველზე აუხსნით, რომ ჰაერს ვსუნთქავთ. მოსწავლეები დააკვირდებიან ერთმანეთს - როგორ მოძრაობს გულმკერდი სუნთქვისას. სთხოვეთ, დააკვირდნენ თავიანთ ეზოებში, სახლებში მძინარე ან წამოწოლილ ცხოველებს - ძაღლს, კატას, ლეკვს - როგორ მოძრაობს გულმკერდი ჰაერის სუნთქვისას. მოსწავლეთა გამოცდილებაზე დაფუძნებით დაასკვნით, რომ ჰაერი ყველა ცოცხალ არსებას სჭირდება, მათ შორის - ჭიანჭველასაც. სახურავის გახვრეტა აუცილებელია იმისთვის, რომ ჭიანჭველებს საცხოვრებელში ჰაერი მიეწოდოთ. გაფხვიერებულ ნიადაგში უფრო მეტი ჰაერი აღწევს, თანაც ჭიანჭველები უფრო ადვილად გადაადგილდებიან და გაჰყავთ გვირაბები.

20. **მერვე და მეცხრე ნაბიჯები** - მოსწავლეებს მორიგეობით მიაღებინებთ მონაწილეობას აღწერილ პროცესებში. ეს მათ გაუღვივებს ზრუნვის განცდას/მოთხოვნილებებს და დაეხმარება იმაში, რომ უკეთ გაიგონ ამ პატარა არსებების სასიცოცხლო მოთხოვნილებები (*მიზანი: ცხოველთა სასიცოცხლო მოთხოვნილებების - საკვები, წყალი, ჰაერი, თავშესაფარი - გაგება, დარგობრივი ლექსიკის განმტკიცება*).

ვივარიუმი: ჭიანჭველების ფერმა²

რესურსები

- ორი პატარა ზომის თავსახურიანი შუშის ქილა

²გამოყენებულია “wikihow”-ს მასალები: <https://fr.wikihow.com/fabriquer-un-vivarium-%C3%A0-foumis>

- დიდი ზომის თავსახურიანი შუშის ქილა
- ქვიშა

ჭიანჭველები

ნაბიჯი 1. ქილების მომზადება

21. აიღეთ ორი თავსახურიანი შუშის ქილა: ერთი - დიდი, მეორე - პატარა. პატარა ქილა იმ ზომის უნდა იყოს, რომ შეიძლებოდეს მისი დიდ ქილაში ჩადგმა. ნიადაგი და ჭიანჭველები უნდა მოათავსოთ დიდ და პატარა ქილებს შორის დარჩენილ ცარიელ სივრცეში. პატარა ქილის დანიშნულებაა შუაში არსებული ადგილის შევსება, რათა ჭიანჭველების ოჯახმა ქილის კიდებთან გაიყვანოს გვირაბები და დადოს კვერცხები. ეს საშუალებას მისცემს დამკვირვებლებს, თვალნათლივ დაინახონ ჭიანჭველების საქმიანობა და დაუბრკოლებლად შეისწავლონ მათი ცხოვრება. იმისათვის, რომ ჭიანჭველებმა უფრო თავისუფლად იგრძნონ თავი, შეარჩიეთ შედარებით დიდი ზომის ქილა.
22. ქილაზე არ უნდა იყოს წარწერები, ეტიკეტები, ციფრები. შუშა სუფთა და გამჭვირვალე უნდა იყოს, რათა ჭიანჭველები კარგად დაინახოთ.



ნაბიჯი 2. ნიადაგის მომზადება

23. მოამზადეთ გრუნტისა და ქვიშის ნარევი (2 ნაწილი მიწა - 1 ნაწილი ქვიშა). ჭიანჭველებისთვის საუკეთესო გარემოს წარმოადგენს ფხვიერი ნიადაგი, რომელიც ტენს ინარჩუნებს. ასეთ ნიადაგში ჭიანჭველები თავისუფლად გადაადგილდებიან და ადვილად გაჰყავთ გვირაბები. კარგი იქნება, თუკი აიღებთ გრუნტს იმ ადგილიდან, საიდანაც წამოიყვანთ ჭიანჭველებს. ამით მათ ბუნებრივ პირობებს შეუნარჩუნებთ. ქვიშისა და ნიადაგის შერევა შეგიძლიათ პატარა ნიჩბით, დიდი კოვზით ან ხელით. გაითვალისწინეთ, რომ მომზადებული ნიადაგი ოდნავ ტენიანი უნდა იყოს (თუკი ნიადაგში ბევრი წყალი იქნება, ჭიანჭველები დაიხრჩობიან).



ნაბიჯი 3. ჭიანჭველების მოძებნა

24. იპოვეთ ჭიანჭველების ბუდე. ჭიანჭველები ძირითადად მიწაში სახლობენ. მათი ბუდე გარეგნულად მცირე გორაკს წააგავს და ზედა ნაწილში პატარა ხვრელი აქვს. ეს ბუდეში შესასვლელია.
25. ჭიანჭველების ბუდის მისაგნებად შეგიძლიათ მოძებნოთ ჭიანჭველების ჯგუფი და კვალდაკვალ გაჰყვეთ მას. საბოლოოდ მწერები თავად მიგიყვანენ თავიანთ ბუდესთან. გაითვალისწინეთ: თქვენი ფერმისთვის უნდა შეარჩიოთ შავი და არა წითელი ჭიანჭველები, რადგანაც ეს უკანასკნელები უფრო აგრესიულები არიან და იკბინებიან.



ნაბიჯი 4. ჭიანჭველების შეგროვება

26. შეაგროვეთ ჭიანჭველები. როდესაც დარწმუნდებით, რომ მიაკვლიეთ ჭიანჭველების ოჯახს, მიიტანეთ ბუდესთან ქილა, რომელსაც თავსახურზე რამდენიმე ნახვრეტი აქვს, დიდი კოვზით აიღეთ ჭიანჭველა და მოათავსეთ ქილაში. საკმარისი იქნება 20-25 ჭიანჭველის მოგროვება.
27. გაითვალისწინეთ: ბუდის ზედა ნაწილში მუშა ჭიანჭველები იქნებიან, სიღრმეში - მდედრი ჭიანჭველა. ჭიანჭველების სასიცოცხლო ციკლის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მდედრი ჭიანჭველას არსებობა, რადგანაც ის კვერცხებს დებს. თუკი თქვენს ფერმაში მდედრი ჭიანჭველა არ იქნება, მუშა

ჭიანჭველები, სავარაუდოდ, 3-4 კვირაში დაიხოცებიან (3-4 კვირა ჭიანჭველას სიცოცხლის ხანგრძლივობაა).

შენიშვნა: იმისათვის, რომ ჭიანჭველების ბუდე არ განადგურდეს, შეაგროვეთ მხოლოდ მუშა ჭიანჭველები. აუცილებელია, რომ დაკვირვების ორი-სამი კვირის თავზე მოსწავლეებთან ერთად დააბრუნოთ ჭიანჭველები თავიანთ ბუნებრივ გარემოში, რადგან ისინი მდედრის გარეშე დაილუპებიან.



ნაბიჯი 5. მოაწვევით „ფერმა“

28. პატარა ქილის ძირზე მოათავსეთ თავსახური და ჩადგით დიდი ქილის შუაგულში. დარწმუნდით, რომ პატარა ქილის ძირზე თავსახური საიმედოდაა დამაგრებული, რათა მასში ჭიანჭველები არ შეცოცდნენ. პატარა ქილის უკეთ დასაფიქსირებლად შეგიძლიათ მას ქვემოდან წაუსვათ წებო ან წებოვანი ლენტო და ისე ჩადოთ დიდ ქილაში.



ნაბიჯი 6.

29. შეავსეთ დიდი ქილის თავისუფალი სივრცე მომზადებული ნიადაგით, მაგრამ არა თავსახურამდე - ქილის ზედა ნაწილში დატოვეთ დაახლ. 3 სმ. თავისუფალი სივრცე. თავისუფალი სივრცის წყალობით ჭიანჭველები ვერ შეძლებენ ზემოთ ამოსვლას მაშინ, როდესაც თავსახურის მოხსნა დაგჭირდებათ. საჭირო არ არის ნიადაგის მაგრად დატკეპნა - ეს ხელს შეუშლის ჭიანჭველებს თავისუფლად

გადაადგილებაში.



ნაბიჯი 7. ჭიანჭველების ქილაში მოთავსება

30. მოათავსეთ ჭიანჭველები ქილაში და დაახურეთ ქილას თავსახური. ბასრი დანის წვერით დაჩხვლიტეთ თავსახური და გააკეთეთ პატარ-პატარა ხვრელები იმისთვის, რომ ჭიანჭველებმა ჟანგბადი მიიღონ. ხვრელები უნდა იყოს ძალიან ვიწრო, რათა მწერებმა ქილიდან ამოცოცება ვერ შეძლონ.



ნაბიჯი 8. საკვებისა და ტენის უზრუნველყოფა

31. იზრუნეთ ჭიანჭველების საკვებზე და ტენიანი გარემოს შენარჩუნებაზე. გამოკვებით ისინი რამდენიმე დღეში ერთხელ თაფლის/მურაბის წვეთებით ან ხილის ნაჭრებით - ჭიანჭველებს სიტკბო უყვართ. საკვების მიწოდებისას აუცილებელია დავიცვათ ზომიერება იმისთვის, რომ ნიადაგს ობი არ მოეკიდოს. ჭიანჭველები მათთვის აუცილებელ ტენს ძირითადად საკვებიდან იღებენ, მაგრამ

თუკი დაინახავთ, რომ ნიადაგი მეტისმეტად გამომშრალია, წყლით დაასველეთ ბამბის ბურთულა და რამდენიმე დღით მოათავსეთ ქილის ზედა ნაწილში (2).

32. არასოდეს ჩაასხათ წყალი ქილაში - ჭარბი ტენიანობის შემთხვევაში ჭიანჭველები შეიძლება დაიხრჩონ.

არ მისცეთ ჭიანჭველებს ხორცი ან სხვა საკვები, რათა დანარჩენი მწერები არ მიიზიდოთ.



ნაბიჯი 9. დღე-ღამის ციკლის დაცვა

33. თუკი ჭიანჭველებს არ აკვირდებით, ქილას ქსოვილი გადააფარეთ. ჭიანჭველებს გვირაბები ღამით, სიბნელეში გაჰყავთ, ამიტომ ბუნებრივი გარემოს შესაქმნელად გადასაფარებლად გამოიყენეთ შავი ფერის ქსოვილი. თუკი ამას არ გააკეთებთ, ჭიანჭველები სტრესულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და ნაკლებად აქტიური იქნებიან. ამას გარდა, შეეცდებიან, რაც შეიძლება დაშორდნენ ქილის კიდეებს და ცენტრისკენ გადაინაცვლონ.



ნაბიჯი 10. უძრობის შენარჩუნება

34. არ შეანჯღრიოთ ქილა, არ შეუცვალოთ მას ადგილი მკვეთრი მოძრაობით. ჭიანჭველები ნაზი არსებები არიან და გვირაბების ჩამოშლის შემთხვევაში შეიძლება დაიხოცონ.



ნაბიჯი 11. სითბოს შენარჩუნება

35. მოათავსეთ ქილა ოთახში, სადაც მუდმივად სითბოა. არ დადგათ ქილა მზეზე, რადგან შუშა შეიძლება გადახურდეს. მეტისმეტად მაღალი ტემპერატურა საზიანოა ჭიანჭველებისთვის.




წიგნი „ჩვენი სკოლის ეზო“ - ნულოვანი დონე.

წაკითხვამდე

36. ვარაუდების გამოთქმა - წიგნის სათაურზე, ილუსტრაციებსა და მუქად დაწერილ საკვანძო სიტყვაზე დაყრდნობით, მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, თუ რაზეა საუბარი წიგნის თითოეულ გვერდზე (მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, მზაობის შექმნა ტექსტის შინაარსის გასაგებად).
37. კითხვის დროს
38. ტექსტის დაკავშირება ილუსტრაციებთან - მოსწავლე წაკითხულ ინფორმაციას უკავშირებს შესაბამის ილუსტრაციას (მიზანი: კითხვის სტრატეგიის გამოყენება გაგების გასაადვილებლად).
39. უცნობ სიტყვათა მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით - (მიზანი: კითხვის სტრატეგიის გამოყენება გაგების პროცესების ხელშესაწყობად).
40. ნახატის მიხედვით ცარიელი უჯრების შევსება - (იხ. დანართი 2)

სახელი.....


ამოწარით სიხვეპი და მინახათ სწორ ადგილას



- ფოთლაბი
- ყვავილი
- ღერო
- ფასვები

ბჟ

ბჟ მცენარეა, რომელიც ღეროს, ფასვის, ჰარჯისა და ფოთლაბისგან შედგება



- ფოთლაბი
- ჰარჯი
- ღერო
- ფასვები

41. **სახალისო აქტივობები ლექსიკის ასათვისებლად** - სახალი ლექსიკის დამახსოვრების ხელშესაწყობად მოსწავლეებს შესთავაზებთ სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებს. მაგალითად: ა) ასახელებთ არეული თანამიმდევრობით სიტყვას/შესიტყვებას, მოსწავლემ უნდა აჩვენოს იგი ილუსტრაციაზე; ბ) თქვენ აჩვენებთ, მან უნდა დაასახელოს; გ) იგივე ტიპის აქტივობა, ოღონდ გუნდებს შორის შეჯიბრებით; დ) ტყუილია/მართალია - მოსწავლეებს აჩვენებთ ილუსტრაციებს, პარალელურად ასახელებთ ხან შესაბამის სიტყვას, ხან შეუსაბამოს. მოსწავლეებმა უნდა თქვან, მართალია თუ ტყუილია.

კითხვის შემდეგ

42. **ინტერაქცია მცენარეების პოსტერებზე დაყრდნობით** - მცენარეების პოსტერს დაამუშავებთ ნასწავლი დარგობრივი ლექსიკის გათვალისწინებით. საორიენტაციო შეკითხვები: რომელი მცენარეა ხე? ბუჩქი? ყვავილი? გინახავთ ისინი? სად გინახავთ? რომელი მცენარის დასახელება იცით ქართულად? რომელი მცენარე იზრდება თქვენს ეზოში? რისი ნაყოფია მაყვალი, რკო, კაკალი? და სხვ. (მიზანი: მიღებული ცოდნის განმტკიცება).

43. **ექსპერიმენტის ჩატარება** - დაფაზე დაწერთ სიტყვებს: სინათლე/ჰაერი, სითბო, წყალი. მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა

დაფიქრდნენ, სჭირდებათ თუ არა მცენარეებს ეს სამი პირობა. ამისთვის დაუსვამთ შეკითხვას: *რატომ რწყავენ ყვავილებს? რატომ არ ყვავიან ხეები ზამთარში? დახურულ ქილაში რომ ჩავდეთ ყვავილი, რა მოხდება?* ამის შემდეგ ჩაატარებინებთ ექსპერიმენტს (ეს ექსპერიმენტი ცივ ამინდში უნდა ჩატარდეს, ზამთარში ან ზამთრის პირზე: აიღებთ 4 თეფშს, დაადებთ ბამბას, ზედ დააყრით ხორბლის გალივებულ მარცვლებს.

- ა. პირველი ნათესი - ბავშვების მონაწილეობით ბამბას დაასველებთ, თეფშს დადგამთ სითბოში, ანუ ოთახის ტემპერატურაზე;
- ბ. მეორე ნათესი - დადგამთ ნათელ ადგილზე, სითბოში, ანუ ოთახის ტემპერატურაზე, მაგრამ არ მორწყავთ;
- გ. მესამე ნათესი- დაასხით წყალი და გადგით სიცივეში;
- დ. მეოთხე ნათესი - მორწყეთ ხორბლიანი ბამბა და ჩადეთ გაუმჭვირვალე ჰერმეტიკულად დახურულ ჭურჭელში.

44. მოსწავლეები ორი-სამი კვირის განმავლობაში დააკვირდებიან პროცესებს და ცხრილში ჩაწერენ დაკვირვების შედეგებს.

ცხრილის ნიმუში.

ნათესი	ზრდის პირობები			დაკვირვების შედეგები
	სითბო	სინათლე	წყალი	
I	კი	კი	კი	
II	კი	კი	არა	
III	არა	კი	კი	
IV	კი	არა	კი	

(მიზანი: მცენარეების სასიცოცხლო მოთხოვნილებების გაცნობიერება)

45. **პეტუნიას დათესვა** - მოსწავლეებს დაათესვინებთ მცენარე პეტუნიას, რომელიც შეგიძლიათ გაზაფხულზე ეზოში გადარგოთ. დაყოფთ კლასს 4-5- წევრიან ჯგუფად. დაურიგებთ თითოეულ ჯგუფს მიწით სავსე ორ ერთჯერად ძირგახვრეტილ ჭიქას, ასევე დაურიგებთ პეტუნიას თესლს, რომელიც მოსწავლეებმა ამ ჭიქებში უნდა დათესონ. მოსწავლეებს ეტყვიან, რომ მათ უნდა დაადგინონ ყვავილოვანი მცენარის მოვლის წესები.

46. **ინფორმაცია მასწავლებლისთვის:** პეტუნია აფრიკული წარმოშობის ერთწლიანი ყვავილოვანი მცენარეა. ის ლამაზ ფერად ყვავილებს იკეთებს. მისი ყვავილები შეიძლება იყოს თეთრი, წითელი, ლურჯი, ყვითელი, ვარდისფერი. კარგი მოვლის შემთხვევაში მთელი გაზაფხული და ზაფხული ყვავის. მას უყვარს სიცხე და შეუძლია გაუძლოს მაღალ ტემპერატურას. ის ზაფხულში თითქმის ყოველ

დღე უნდა მოირწყას, ზამთარში - ორ კვირაში ერთხელ. თუ პეტუნიას დღეში რამდენჯერმე მოვრწყავთ, მისი ფესვი დალპება.

47. მოსწავლეებს შეამოწმებინეთ ნიადაგი ხელით და მხოლოდ მისი გაშრობის შემდეგ მოარწყვეინეთ პეტუნია. პეტუნია დათესვიდან ორ კვირაში აღმოცენდება. მოსწავლეები პეტუნიას თესლის დათესვის შემდეგ წყალს ასხამენ ჭიქებში და ათავსებენ მათ ფანჯრის რაფაზე. მოსწავლეები აწარმოებენ დაკვირვებას პეტუნიას აღმოცენების პროცესზე და იცავენ მორწყვის წესს.

48. სამუშაო ფურცლები.

ჯგუფის წევრების _____									
პეტუნიას დათესვის დღე									
პეტუნიას აღმოცენების დღე									
ფოთლების გამოსვლის დღე									
პეტუნიას სიმაღლე სანტიმეტრებში	კვირა 1	კვირა 2	კვირა 3	კვირა 4	კვირა 5	კვირა 6	კვირა 7	კვირა 8	კვირა


49. შევსებული დაკვირვების ფურცლების მონაცემებს ჯგუფები ადარებენ ერთმანეთს და პოულობენ მსგავსება-განსხვავებებს.

50. ინფორმაციის დახარისხება (იხ. დანართი 2)

სახელი.....

ჩანართი სიტყვები შესაბამის გრაფაში

მცენარის ნაწილები	მცენარის სპორტაჟი
-------------------	-------------------



მარცვალი	გზა	ფოთლები	წყალი
ხილი	ყვავილი	ჰაერი	ნიადაგი
	ღარი	ფესვი	

წიგნი „ჩვენი სკოლის ეზო“ - დაბალი დონე 1.

გაცნობითი კითხვა

51. ვარაუდების გამოთქმა - წიგნის სათაურზე, ილუსტრაციებსა და მუქად დაწერილ საკვანძო სიტყვაზე დაყრდნობით, მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, რაზეა საუბარი წიგნის თითოეულ გვერდზე (მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, მზაობის შექმნა ტექსტის შინაარსის გასაგებად).
52. ტექსტის დაკავშირება ილუსტრაციებთან - მოსწავლე წაკითხულ ინფორმაციას უკავშირებს შესაბამის ილუსტრაციას (მიზანი: კითხვის სტრატეგიის გამოყენება გაგების გასაადვილებლად).

ძიებითი კითხვა

53. ტექსტზე დაფუძნებით ინფორმაციის დაჯგუფება - მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ ტექსტი: დაბალი დონე 2 და შეავსონ ქვემოთ მოცემული ცხრილი. (იხ. დანართი 2. შეავსეთ ცხრილი ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით). მოსწავლეებთან ერთად გაეცნობით პირობას, რათა დარწმუნდეთ, რომ პირობა ყველამ გაიგო. მუშაობის დაწყებამდე გააფრთხილებთ მოსწავლეებს, რომ გზადაგზა ამოიწერონ უცნობი სიტყვები.

ცხოველი	რით იკვებება (რას ჭამს)

54. უცნობი სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით - მოსწავლეთათვის უცნობ სიტყვებს დაფაზე ჩამოწერთ. მოსწავლეები ერთობლივი ძალებით შეეცდებიან მათი მნიშვნელობების ამოცნობას კონტექსტზე დაყრდნობით (მიზანი: ენობრივი უნარების განვითარება, კითხვის სტრატეგიების დაუფლება).
55. ფრინველების შედარება - მოსწავლეებმა ვენის დიაგრამის გამოყენებით უნდა შეადარონ ერთმანეთს:

შოშია და მოლალური

ბელურა და ოფოფი

კითხვის შემდეგ

56. ეზოს მწერების ილუსტრირებული ლექსიკონი - მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში. ისინი შლიან თეთრ ქაღალდს ხის ტოტის ქვეშ და არხევენ ტოტს. ქაღალდზე ჩამოცვნილ მწერებს პინცეტის დახმარებით მოათავსებთ წინასწარ მომზადებულ ქილებში და დაახურავთ თავსახურს. კლასში ქილას დადგამთ მაგიდის შუაში, მოსწავლეები აკვირდებიან ქილაში მოთავსებულ მწერებს და ხატავენ მათ. დახატულ მწერებს მიაწერენ სახელს, ისრებით გამოიტანენ სხეულის ნაწილებს (თავი, ტანი, ფეხები, ულვაშები, ფრთები და ა.შ) და გაუკეთებენ ორენოვან წარწერებს.
57. ხის ბინადრები - მოსწავლეთა ჯგუფები იკვლევენ, რა ცხოველები სახლობენ ხეზე (ხის ტოტებზე, ფოთლებზე, ხის ქერქზე). მოსწავლეებმა ამ მონაცემების აღება და აღნუსხვა უნდა გააგრძელონ სხვა სეზონებზეც. (ზამთარში და გაზაფხულზე). მონაცემებს ადარებენ ერთმანეთს და აკეთებენ დასკვნებს ცხოველების აქტიურობის შესახებ სეზონების მიხედვით. შესაძლებელია, გადაიღონ სურათებიც და მოამზადონ პრეზენტაცია.
58. სკოლის ეზოს ხეზე დაკვირვება - სთხოვეთ მოსწავლეებს, ყურადღებით დაათვალიერონ სკოლის ეზო და აარჩიონ ერთი ხე, რომელსაც შეისწავლიან სეზონების მიხედვით. სამუშაო სრულდება ინდივიდუალურად. მოსწავლეებს ექნებათ სახატავი რვეული, რომელშიც ჩაიხატავენ ხეს და გააკეთებენ ჩანაწერებს ამ მცენარესთან დაკავშირებით.
59. მოსწავლე აკვირდება შერჩეულ ხეს. ათვალიერებს მას ახლოდან და შორიდან; სინჯავს მის ქერქს; განსაზღვრავს დაახლოებით მის სიმაღლეს, ზომავს მის გარშემოწერილობას.
60. მოსწავლემ უნდა ჩახატოს რვეულში მის მიერ შერჩეული ხე და დაადგინოს მცენარის სახელწოდება (თქვენი დახმარებით). თითოეულმა მოსწავლემ უნდა ჩაინიშნოს აღმოჩენები, რომლებიც გააკეთა ხის დათვალიერების დროს. მოსწავლე აგროვებს მცენარის პატარა ტოტებს, ფოთლებს, თესლს, აწებებს სახატავ რვეულში, თან უკეთებს წარწერებს; კვირაში ერთხელ აკვირდება ხეს და წერს რვეულში, შეამჩნია თუ არა რაიმე ცვლილებები; აღწერს შერჩეულ ხეს შემოდგომაზე, ზამთარში, გაზაფხულზე; აკეთებს ჩანახატებს და აღნიშნავს ცვლილებებს, რომელსაც ხე განიცდის სეზონების მიხედვით.

წიგნი „ჩვენი სკოლის ეზო“ - დაბალი დონე 2

61. როგორ ჩნდება მატლი? - მოსწავლეებმა საკუთარი წარმოდგენის მიხედვით უნდა დახატონ, როგორ წარმოუდგენიათ მატლის მშობელი.

კითხვის დროს

62. კითხვის სტრატეგია VO!? - დაფაზე ჩამოწერთ შემდეგ ინფორმაციას:

- a. ნ – უკვე ვიცი, ნაცნობია
- b. ა - ახალი ინფორმაციაა
 - i. ! - ძალიან საინტერესოა
 - ii. ? - გაუგებარია, ვერ გავიგე

63. აუხსნით მოსწავლეებს, რას ნიშნავს თითოეული ნიშანი და შესთავაზებთ, რომ ტექსტის კითხვის დროს ფანქრით დასვან ეს ნიშნები. კითხვის დროს ივლით რიგებში და დაეხმარებით მოსწავლეებს ამ დავალების მართებულად გაგებაში. გაგების ხელშესაწყობად შეიძლება პირველი გვერდი მოსწავლეებთან ერთად დაამუშაოთ. შეგიძლიათ ასევე ერთად დასხაოთ ის მოსწავლეები, რომლებსაც ყველაზე მეტად გაუჭირდებათ ინსტრუქციის გაგება, გვერდით მიუჯდეთ მათ და წარმართოთ ამ ჯგუფის მუშაობა (მიზანი: კითხვის სტრატეგიების დაუფლება).

კითხვის შემდეგ

64. წაკითხულის შეჯამება - პირველ რიგში, განიხილავთ გაუგებარ ადგილებს. თუ რომელიმე მოსწავლეს მართებულად აქვს გაგებული, სთხოვეთ მას, რომ აუხსნას თანაკლასელებს და ჰკითხეთ, როგორ მიხვდა/შეძლო გაგება. დაეხმარეთ მოსწავლეებს სტრატეგიების გამოყენებაში, მაგ., ილუსტრაციის მოშველიებით და სხვ. ამის შემდეგ განიხილავთ სხვა საკითხებს: კითხულობთ, ვისთვის რა იყო ძალიან საინტერესო, რა იყო უკვე ნაცნობი (მიზანი: ეზოს ცხოველების თემატიკაზე შექმნილი საინფორმაციო ტექსტის გააზრება, ენობრივი უნარების გაუმჯობესება).

65. ვარაუდების შემოწმება - მოსწავლეები მიბრუნდებიან წაკითხვამდე შექმნილ ნახატებს და გააანალიზებენ შეცდომებს (მათი არსებობის შემთხვევაში); შექმნიან ახალ ნახატებს შეძენილ ცოდნაზე დაფუძნებით (მიზანი: წინარე ცოდნისა და ახლად შეძენილი ცოდნის ურთიერთდაკავშირება).

66. ინფორმაციის დაჯგუფება - მოსწავლეებმა ტექსტზე დაფუძნებით უნდა შეავსონ ქვემოთ მოცემული ცხრილები (იხ. დანართი 2.).

(მიზანი: ტექსტის გააზრება, ცოდნის განმტკიცება-კატეგორიზება).

ცხრილი 1.

ცხოველები, რომელთა ნაშიერები ჰგვანან მშობლებს	ცხოველები, რომელთა ნაშიერები არ ჰგვანან მშობლებს

--	--

ცხრილი 2.

ცხოველები, რომლებიც კვერცხიდან იჩეკებიან	ცხოველები, რომლებსაც დედალი აჩენს

ცხრილი 3.

ცხოველები, რომლებიც ნაშიერებზე ზრუნავენ	ცხოველები, რომლებიც ნაშიერებზე არ ზრუნავენ

II ეტაპი

- რატომ მზადდება სამუშაო ნივთები სხვადასხვა მასალისგან?(ცნება: მასალა, თვისება: დრეკადი, წყალგამტარი)

რესურსი:

- პლასტმასის ჭიქა, ფაიფურის ჭიქა, რკინის ჭიქა;
- ხის კოვზი, რკინის კოვზი, პლასტმასის კოვზი;
- რეზინის ბურთი, რკინის ბურთულა, გასაბერი ბუმბუტი;

- რეზინის ბოტები, რეზინის ხელთათმანი, ნაჭრის ხელთათმანი; რეზინის შლანგი, რკინის მილი

67. ამოვიცნოთ, რისგანაა დამზადებული – მოსწავლეებს აჩვენებთ პლასტმასის, ფაიფურისა და რკინის **ჭიქებს**; ხის, რკინის, პლასტმასის **კოვზებს** და მათი მეშვეობით გააგებინებთ, რას ნიშნავს „მასალა“. მაგ., დაფაზე დაწერეთ შეკითხვას: რა მასალისგანაა დამზადებული? შემდეგ მრავალჯერადად დასვამთ შეკითხვას კოვზებთან დაკავშირებით და თავად უპასუხებთ მას: „*რა მასალისგანაა დამზადებული ეს კოვზი?*“

- *ეს კოვზი დამზადებულია ხისგან/პლასტმასისგან/რკინისგან და მისთ.;* *ჭიქებთან დაკავშირებით კი თავად მოსწავლეები უპასუხებენ*

(მიზანი: ტერმინ „მასალის“ მნიშვნელობის გაგება, დარგობრივი ლექსიკის ათვისება).

68. საგნების შედარება შედგენილობის მიხედვით - მოსწავლეებს დააჭერინეთ და შეადარებინეთ რეზინის ბუშტი, რეზინის ბურთი, რკინის ბურთულა; დააფიქრეთ, რომელი როგორ/რა მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ. მაგ., რომელია უფრო რბილი/უფრო მაგარი, უფრო მსუბუქი/უფრო მძიმე. მოახდინეთ ბურთების დრეკადობის დემონსტრირება და ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით აუხსენით, რას ნიშნავს დრეკადი საგანი (რეზინის ბურთი მოხრის, მოღუნვის შემდეგ პირველად მდგომარეობას უბრუნდება). ჰკითხეთ მოსწავლეებს: დრეკადია თუ არა რკინის ბურთულა; შეიძლება თუ არა რკინის ბურთით ფეხბურთის ან კალათბურთის თამაში და რატომ; აპოვნინეთ კლასში/ეზოში დრეკადი საგნები (მიზანი: მასალის თვისებებისა და მათი მნიშვნელობის გააზრება).

69. დავაჯგუფოთ საგნები მასალის მიხედვით - მოსწავლეებმა კლასში უნდა იპოვონ და ჩამოწერონ საგნები, რომლებიც დამზადებულია ხისგან, პლასტმასისგან, რკინისგან, რეზინისგან

(მიზანი: მასალის ამოცნობა, მასალის მიხედვით საგნების კლასიფიკაცია).

70. ექსპერიმენტის ჩატარება - ეზოში გაიყვანთ მოსწავლეებს, თან წაიღებთ შემდეგ ნივთებს: პლასტმასისა და რკინის კოვზებს, რკინის პატარა ბარს, რეზინის შლანგსა და რკინის მილს; ნაჭრისა და რეზინის ხელთათმანებს, რეზინის ბოტებს. ჩაატარებინებთ მოსწავლეებს პატარა ცდებს: 1) მოსწავლეები უნდა შეეცადონ მიწის ამოთხრას რკინისა და პლასტმასის კოვზებით, შემდეგ გააანალიზონ მიღებული შედეგი (მაგ., პლასტმასის კოვზი ადვილად ტყდება, მიწას ვერ ამოთხრი, რკინის ბარი მაგარია და ბასრი, მიწას კარგად თხრის). დაუსვით მაპროვოცირებელი შეკითხვები: შეიძლება ბარი იყოს პლასტმასის? რეზინის? რატომ? 2) გაატარონ წყალი რკინის მილში და რეზინის შლანგში - ორივე

ატარებს წყალს. დასვით მაპროვოცირებელი შეკითხვა: რატომ არის უფრო მოსახერხებელი რეზინის შლანგი? (შესაძლო პასუხები: რეზინის შლანგი შეიძლება დაახვიო და შესანახად უფრო მოსახერხებელია. ასევე შეიძლება დაამოკლო ან დააგრძელო შლანგის სიგრძე გორგლის გაშლის დროს. ამის საშუალებას რეზინის დრეკადობის უნარი იძლევა). 3) ჩააცვით მოსწავლეებს რეზინისა და ნაჭრის ხელთათმანები და წყალი დაასხით. მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ რეზინი წყალს არ ატარებს, ის წყალგაუმტარია; დასვით მაპროვოცირებელი შეკითხვა: შეიძლება თუ არა, რომ წვიმაში სასიარულო ბოტები ნაჭრისგან დავამზადოთ? რატომ?

(მიზანი: საგანთა მასალის თვისებებისა და მნიშვნელობის გააზრება).

71. ექსპერიმენტის ჩატარება გამჭვირვალე/გაუმჭვირვალე საგნებზე - სხვადასხვა ნივთისა და მასალის გამოყენებით (ელექტრონული ნათურა ან მაგიდის ნათურა, წყლიანი ჯამი, მინა, პლასტმასი, ღია ფერის თხელი ქსოვილის ნაჭერი, მუქი ფერის სქელი ქსოვილის ნაჭერი, მუყაო) ჩაატარებინეთ მოსწავლეებს მარტივი ცდები, რათა აჩვენოთ, რომ ზოგიერთი მასალა კარგად ატარებს შუქს, ანუ გამჭვირვალეა (მინა, წყალი), ზოგიერთი მასალა ნაწილობრივ ატარებს (პლასტმასი, თხელი ნაჭერი), ზოგიერთი მასალა კი საერთოდ არ ატარებს, ანუ გაუმჭვირვალეა (სქელი ნაჭერი, მუყაო). ამ მიზნით შეგიძლიათ ჩაატაროთ შემდეგი ცდა: აიღეთ სამი ჭიქა: გამჭვირვალე, ქაღალდისა და თიხის. თითოეულ მათგანში ჩადეთ სამი ფარანი და სამივე ანთეთ. მოსწავლეებმა უნდა თქვან, რომელი ჭიქიდან გამოდის კარგად სინათლე (ანუ რომელი ჭიქაა გამჭვირვალე), რომელი ჭიქიდან გამოდის ნაწილობრივ, რომელი ჭიქიდან - საერთოდ არ გამოდის (ანუ რომელი ჭიქაა გაუმჭვირვალე)

(მიზანი: გაგება ტერმინებისა: „გამჭვირვალე-გაუმჭვირვალე“).

შენიშვნა: ზემოთ მოყვანილი ცდის ჩატარება შესაძლებელია ერთი ფარნის გამოყენებითაც. ამ შემთხვევაში ფანარს ჭიქებში მიმდევრობით ანთებთ.

წიგნი „ჩვენი სკოლის ეზო“ - დაბალი დონე 3

გაცნობითი კითხვა

72. ვარაუდების გამოთქმა - წიგნის სათაურზე, ილუსტრაციებსა და მუქად დაწერილ საკვანძო სიტყვაზე დაყრდნობით მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, რაზეა საუბარი წიგნის თითოეულ გვერდზე (მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, მზაობის შექმნა ტექსტის შინაარსის გასაგებად).

73. ტექსტის დაკავშირება ილუსტრაციებთან - მოსწავლე წაკითხულ ინფორმაციას

უკავშირებს შესაბამის ილუსტრაციას (მიზანი: კითხვის სტრატეგიის გამოყენება გაგების გასაადვილებლად).

ძიებითი კითხვა

74. **თანამიმდევრობის პოვნა** - მოსწავლემ უნდა დანომროს ნახატები თანამიმდევრული მოქმედებების აღსანიშნავად. შემდეგ უნდა დაწეროს შესაბამისი მოქმედებები (იხ. დანართი 2) (მცენარის სასიცოცხლო მოთხოვნილებების გააზრება)



75. **უცნობი სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით** - მოსწავლეთათვის უცნობ სიტყვებს დაფაზე ჩამოწერთ. მოსწავლეები ერთობლივი ძალებით შეეცდებიან მათი მნიშვნელობების ამოცნობას კონტექსტზე დაყრდნობით (მიზანი: ენობრივი უნარების განვითარება, კითხვის სტრატეგიების დაუფლება).

76. **კითხვებზე პასუხი** - მეწყვილეები ერთად ამზადებენ კითხვებზე პასუხებს. ამას მოსდევს პასუხების შემოწმება, შესწორება, შეჯერება (წაკითხულის დაკავშირება საკუთარ ცოდნა-გამოცდილებასთან, ანალიზი, შეფასება).

- რომელ სარწყავს აირჩევდი, რკინისას თუ პლასტმასისას? რატომ?
- რატომ ამზადებენ ბავშვის სამუშაო იარაღებს პლასტმასისგან და არა რკინისგან?
- რატომ არ არის ბარის ტარი რკინისგან დამზადებული? (რკინა ხეზე მძიმეა, ბარის ტარიც რომ რკინის იყოს, ბარი ძალიან მძიმე იქნება და მოსახმარებლად

მოუხერხებელი);

- რატომ ამზადებენ სათბურს გამჭვირვალე მასალისგან - მინისგან? შეიძლება თუ არა სათბური მთლიანად ხისგან დავამზადოთ? რატომ?

კითხვის შემდეგ

77. ჩემი სახლის ეზო - მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ ერთ-ერთი საკითხი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, შექმნან შესაბამისი ნახატები და დაურთონ სიტყვიერი აღწერილობა:

- ა. ჩვენ გვაქვს ბოსტანი (რას რგავთ ბოსტანში? ვინ ბარავს? ვინ რგავს? ვინ მარგლავს? ვინ რწყავს? რა სამუშაო ინსტრუმენტებს იყენებენ?)
- ბ. ჩვენ გვაქვს სათბური (რა მცენარეები იზრდება? ვინ თესავს, ვინ რწყავს? რა სამუშაო იარაღებს იყენებენ?)
- გ. ჩვენ გვაქვს ბაღი - (რა მცენარეები იზრდება? ვინ ბარავს? ვინ რწყავს? ვინ რგავს? რა სამუშაო იარაღებს იყენებენ?)

III ეტაპი

- როგორ შევადგინო ადგილის გეგმა?
- რა კავშირია ეზოს/ბაღის მცენარეებსა და ცხოველებს შორის?

78. **შეასრულე ინსტრუქცია** - გაახსენეთ მოსწავლეებს სივრცის აღმნიშვნელი სიტყვები - მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, გვერდით. ამ ენობრივი მასალის გასააქტიურებლად შეიძლება შესთავაზოთ შემდეგი თამაში: მოსწავლეებმა თქვენი ინსტრუქციის მიხედვით უნდა გადაადგილონ ნივთი, ან თავად გადაადგილდნენ. მაგ., გადაადგილდი ორი ნაბიჯით წინ/უკან, შეტრიალდი მარჯვნივ; რვეული დადე ჩანთის მარჯვნივ, კალამი დადე უკანა მერხზე და მისთ. შეიძლება შეჯიბრების მოწყობაც.

79. **საკლასო ოთახის გეგმა** - გააკარით დაფაზე დიდი ფორმატის ფურცელ, დახაზეთ ზედ ოთხკუთხედი და უთხარით მოსწავლეებს, წარმოიდგინონ, რომ ეს არის მათი საკლასო ოთახი შემცირებული/დაპატარავებული სახით. შემდეგ განიხილეთ, სად, რომელ მხარეს არის საკლასო ოთახში ფანჯრები და კარები. თქვით, რომ ფანჯრებს აღნიშნავს პატარა ჯვრებით, კარებს კი უფრო დიდ ზომის ჯვრებით. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად გამოიკვლიეთ, რომელი ნივთი რომელ მხარეს არის განთავსებული. მოსწავლეების მიერ მითითებულ ადგილებში კონტურებით დახატეთ მერხები, მაგიდა, კარადა და ა.შ. გამოიყენეთ სიტყვები: მარჯვნივ, მარცხნივ და ა.შ. დასკვნის სახით მოსწავლეებს უთხარით, რომ ფურცელზე მოცემულია შემცირებული საკლასო ოთახის გეგმა.

80. **კლასის მაკეტის გაკეთება**- დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს

დაურიგეთ თაბახის ფურცლები და ფერადი ფურცლები. მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ ფერები მაგიდისთვის, სკამებისთვის, კარადისთვის და ა.შ. შემდეგ შესაბამისი ფერის ფურცლისგან გამოჭრან ოთხკუთხედები და კლასში ავეჯის განლაგების მიხედვით შექმნან საკლასო ოთახის აპლიკაცია. თითოეული ჯგუფის წევრი აპლიკაციაზე პოულობს საკუთარ მერხს და აწერს თავის სახელს.

81. **რუკა და გეგმა** - აჩვენეთ მოსწავლეებს სხვადასხვაგვარი საბავშვო რუკა სახელმძღვანელოებიდან, ატლასებიდან, ინტერნეტგვერდიდან. ყურადღებას პირობით აღნიშვნებზე შეაჩერებთ. შესთავაზეთ მოსწავლეებს წარმოიდგინონ, როგორ/რას ხედავენ ფრინველები ფრენის დროს. სასურველია, აჩვენოთ თქვენი ქალაქის/რეგიონის რუკა google-ის გამოყენებით. ამისთვის: გახსენით კომპიუტერში googlemaps; იპოვეთ საქართველო, გაადიდეთ იგი, შემდეგ იპოვეთ რაიონი/სოფელი, გაადიდეთ და აჩვენეთ მოსწავლეებს თავიანთი ქალაქისა თუ სოფლის ზედხედები (შესაძლებელია კონკრეტული ქუჩისა და სახლის მოძებნაც).
82. **სკოლის ეზოს გეგმის შედგენა** - მოსწავლეებს შესთავაზეთ სკოლის ეზოს გეგმის შედგენა. სკოლის ეზოს ერთად დაათვალიერებთ, აღწახვამთ, რა არის ეზოში (მოედანი, მინდორი, ბილიკი, ღობე, სკამი, სათავსო, ხეები და სხვა). საკლასო ოთახში დაბრუნებისას შეადგენთ გეგმას მოდელირების სტრატეგიის გამოყენებით: ჩამოწერთ ძირითად ობიექტებს, რომლებიც გეგმაში უნდა აისახოს, მოსწავლეთა მონაწილეობით შეიმუშავებთ მათ პირობით ნიშნებს. პირველ რიგში, დახაზავთ სკოლის შენობას, მას აიღებთ ორიენტირად და დამკვალიანებელი შეკითხვებით ერთად ააგებთ გეგმას (რა არის სკოლის მარჯვნივ? რა არის სკოლის უკან? და მისთ.). სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები გეგმას საკუთარ რვეულებში გადაიტანენ.

პირობითი ნიშნების ნიმუში:



შენობა




ფოთლოვანი ხე




წიწვოვანი ხე




ყვავილები



გზა



ბილიკი



სპორტული
მოედანი



ბალის სკამი



ნაგვის ურნა

ნამუშევრების წარდგენა-გაზიარება, შეფასება - მოსწავლეები უცვლიან ერთმანეთს საკუთარ ნამუშევრებს და გადიან ეზოში იმის შესამოწმებლად, არის თუ არა დატანილი ნახატზე ეზოს მოწყობილობები და მცენარეები.

წიგნი „ჩვენი სკოლის ეზო“ - საშუალო დონე

წაკითხვამდე

83. ვარაუდების გამოთქმა - წიგნის სათაურზე, ილუსტრაციებსა და მუქად დაწერილ საკვანძო სიტყვაზე დაყრდნობით, მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, თუ რაზეა საუბარი წიგნის თითოეულ გვერდზე (მიზანი: წინარე ცოდნის

გააქტიურება, მზაობის შექმნა ტექსტის შინაარსის გასაგებად).

კითხვის დროს

84. **ტექსტის დაკავშირება ილუსტრაციებთან**- მოსწავლე წაკითხულ ინფორმაციას უკავშირებს შესაბამის ილუსტრაციას (მიზანი: კითხვის სტრატეგიის გამოყენება გაგების გასაადვილებლად).
85. **უცნობ სიტყვათა მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით** - (მიზანი: კითხვის სტრატეგიის გამოყენება გაგების პროცესების ხელშესაწყობად).
86. **გეგმის შედგენა** - მეწყვილეებმა უნდა შეადგინონ ტექსტში აღწერილი კარ-მიდამოს გეგმა (პირობით ნიშნებს ერთად შეადგენთ და დაფაზე გამოაკრავთ).
დასრულების შემდეგ ერთობლივად განიხილავთ ნამუშევრებს
(მიზანი: სივრცეში ორიენტირების უნარების განვითარება).
87. **ინფორმაციის დაჯგუფება** - მოსწავლეებმა ტექსტზე დაყრდნობით უნდა შეავსონ ქვემოთ მოცემული ცხრილი (იხ. დანართი 2. ჩაწერე ცხრილის თითოეულ სვეტში შესაბამისი ცხოველების სახელები)

ზიანს აყენებენ ბალ-ბოსტანს, ნარგავებს, ნათესებს	სარგებელი მოაქვს ბალ-ბოსტანისთვის, ნარგავისთვის, ნათესებისთვის

88. **ინფორმაციის დაჯგუფება**¹. - მოსწავლეებმა ტექსტზე დაფუძნებით ქვემოთ მოცემული ცხრილები უნდა შეავსონ. (იხ. დანართი 2)

ბალ-ბოსტანის დღის მცველები	რა სარგებელი მოაქვთ?

ბალ-ბოსტანის ღამის მცველები	რა სარგებელი მოაქვთ?

IV ეტაპი

- როგორ მოვიქცე, რომ გამიადვილდეს სკოლის ეზოს შესახებ დაწერილი ტექსტის გაგება? (მაღალი დონე)
- როგორ მოვუაროთ სკოლის ეზოს?

წაკითხვამდე

89. საყვარელი ფერები, ხმები, სურნელები - დაფაზე მოსწავლეთა მონაწილეობით ჩამოწერეთ:

- სხვადასხვა ფერი (მაგ., შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ნაცრისფერი და სხვ.);
- სხვადასხვა ხმა (მაგ., ჩაქუჩის დარტყმის ხმა, გიტარის ხმა, მათთვის ნაცნობი როკ-ჯგუფის სიმღერა, ვირის ყროყინი, სკოლის ზარის ხმა, მობილური ტელეფონის ზარის ხმა, ჭექა-ქუხილის ხმა და სხვ.);
- სხვადასხვა სურნელი (მაგ., ვარდის სურნელი, ყველის სუნი, შემწვარი თევზის სუნი, შემწვარი კარტოფილის სუნი, კოცონის კვამლის სუნი და სხვა.);
- სხვადასხვა გემო (მაგ. ვაშლის, მსხლის, ხახვის, წიწაკის, ძმრის, ბანანისა და სხვ.)

შემდეგ მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, რომელი ფერები, სურნელი/სუნი, ხმა/ხმაური მოსწონთ ან არ მოსწონთ, უყვართ ან არ უყვართ. ამ ინტერაქტიულ კონტექსტზე დაყრდნობით, მოსწავლეებს გააგებინებთ მნიშვნელობას სიტყვისა: „შევიგრძნობთ“, ხოლო შემდეგ კონტექსტში გამოაყენებინებთ ამ სიტყვას. მაგ., *შენ გიყვარს მწვანე ფერი. რით შეიგრძნობ ამ ფერს - ცხვირით, თვალით თუ ყურით? (თვალით). შენ გიყვარს შემწვარი კარტოფილის სუნი. რით შეიგრძნობ ამ სუნს - ცხვირით, თვალით თუ ყურით? (ცხვირით) და მისთ.*

გაცნობითი კითხვა

90. სარჩევის წაკითხვა და დაკავშირება წიგნის შინაარსთან - მოსწავლეები ეცნობიან სარჩევს და წიგნში ეძებენ შესაბამის თავებს. არკვევენ, სად იწყება და სად მთავრდება თითოეული მათგანი (მიზანი: წიგნში ორიენტირება, სტრუქტურის ამოცნობა).


91. ვარაუდების გამოთქმა - სათაურებსა და საკვანძო სიტყვებზე დაყრდნობით მოსწავლეები ამოიცნობენ ტექსტის ზოგად შინაარსს (მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, მზაობის შექმნა წიგნის შინაარსის გასააზრებლად).

ინფორმაციის ამოკრეფა - მოსწავლეებმა პირველი ქვეთავიდან უნდა შეარჩიონ სკოლის ეზოში არსებული ობიექტები (ეს ობიექტებია: 1) *სპორტული მოედანი*, 2) *ბატუტი*, 3) *ნაძვის ხეები*, 4) *ხორბლის ნაკვეთი*, 5) *დეკორატიული მცენარეების ნაკვეთი*, 6) *ბოსტანი*, 7) *კუების საბინადრო ნაკვეთი*, 8) *ხეხილი*, 9) *ტბორი*, 10) *ცაცხვის ხეები (ცაცხვნარი)*, 11) *სათბური*, 12) *ვენახი*, 13) *სათავსო*) (მიზანი: სტრატეგის დაუფლება: ორიენტირების, საყრდენების მონიშვნა ტექსტის გასაგებად).

შესწავლითი კითხვა

მეთოდოლოგიური შენიშვნა: მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, შეგიძლიათ ყველა ერთად ამუშაოთ დამოუკიდებლად (ინდივიდუალურად ან წყვილებში), **ან:** დაურიგოთ ჯგუფებს დიფერენცირებული საკითხავი ამოცანები, **ან:** დაამუშაოთ ტექსტი მართული პრაქტიკის გამოყენებით. ამას გარდა, შესაძლებელია გამოიყენოთ „ჯიგსოუს“ სტრატეგიაც.

92. **სკოლის ეზოს გეგმის შედგენა** (იხ. დანართი 2) – მოსწავლეები ტექსტის პირველი ნაწილის წაკითხვის საფუძველზე უნდა შეავსონ ქვემოთ მოცემული დაუსრულებელი გეგმა. მუშაობის დაწყებამდე ერთობლივად შეიმუშავეთ ზემოთ დასახელებული ობიექტების პირობითი ნიშნები.



93. კითხვის სესია: ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე მოსწავლე ეტაპობრივად ასრულებს შემდეგ აქტივობებს:

სკოლის აღწერილობა

76.1. დაადგინე, მართალია თუ არა ინფორმაცია. რატომ ფიქრობ ასე?

- მასწავლებლები გაკვეთილებს სკოლის ეზოშიც ატარებენ;
- ბატუტის მარჯვნივ სპორტული დარბაზია;

- კუებს ყველაზე მეტად კომბოსტო უყვართ.

76.2. უპასუხე შეკითხვებს:

- რატომ უფრთხილდებიან მოსწავლეები ხვლიკებს?
- რა არის ხეხილის წინ?
- რომელი ხილის ხეები იზრდება სკოლის ეზოში?
- რისი ნაშიერია ლიფსიტა?

76.3. დაალაგე სწორი თანამიმდევრობით:

გამოდის კვირტი, თესლი ნიადაგში ითესება, ყვავილი იშლება, ღერო აღმოცენდება

- 94. დაკავშირე ერთმანეთთან ტექსტი და ილუსტრაცია;
- 95. საიდან ჩანს, რომ მოსწავლეები ბელურებზე ზრუნავენ?

სკოლის ეზო წელიწადის სხვადასხვა დროს

- 96. მოცემული ინფორმაციის ილუსტრაციებთან დაკავშირება.
- 97. მოსწავლეებმა აღწერილი სეზონური მოვლენები შეგრძნების ორგანოებს უნდა დაუკავშირონ. შეავსე ქვემოთ მოცემული ცხრილი (იხ. დანართი 2.). სამუშაოს დასრულების შემდეგ პასუხები ერთობლივად განიხილება, გასწორდება და შეივსება.

	რას შევიგრძნობთ?			
	თვალით	ყურით	ცხვირით	ენით
შემოდგომაზე				
ზამთარში				
გაზაფხულზე				
ზაფხულში				

წაკითხვის შემდეგ

- 98. სკოლის ეზოზე დაკვირვება - მოსწავლეებმა უნდა გამოიკვლიონ ეზოს გარემო, შემდეგ უპასუხონ სამუშაო ფურცელზე მოცემულ კითხვებს.

სამუშაო ფურცელი

კლასი-----
ჯგუფი-----

ჯგუფის წევრების სახელები და გვარები
სამუშაოს შესრულების დღე და დრო
ჩამოთვალეთ, რა არის ეზოში (მოედანი, მინდორი, ბილიკი, ღობე, სკამი, სათავსო და სხვა)
რა მცენარეებს ხვდებით? (ხეებს, ბუჩქებს, ბალახებს, ყვავილებს)
რამდენი ხეა ეზოში?
რომელ ცხოველებს ხვდებით ეზოში? (ჩიტებს, მწერებს, ლოკოკინებს, ხვლიკებს, ციყვსა და სხვა)
რის სუნს შეიგრძნობთ? (თესლის, ბალახის, ყვავილების, ან მანქანის გამონაბოლქვის)
რას შეიგრძნობთ კანით? (სიოს შებერვას, წვიმის წვეთებს, სიგრილეს, სითბოს, ყინვას, თოვლის ფიფქებსა და სხვა)
რით არის გარემო დაფარული? (ბალახით, ფოთლებით, ტალახით, თოვლით, ყინულით და სხვა)
როგორია მიწა? (თიხნარი, ქვიშიანი, ქვიანი)
არის თუ არა ეზო სუფთა?

გამოკვლევის შემდეგ მოსწავლეთა ჯგუფებმა უნდა გააანალიზონ აღებული მონაცემები და დაწერონ, რა მოეწონათ და რა არ მოეწონათ ეზოში.

99. **ეზოს მაკეტი** - მოსწავლეებს დაურიგებთ დიდი ფორმატის ფურცლებს და ფლომასტერებს. მოსწავლეებმა უნდა განავითარონ/გააუმჯობესონ თავიანთი სკოლის ეზო და შექმნან სასურველი ეზოს მაკეტი. მათ ასევე უნდა დაწერონ,

რით და როგორ შეუძლიათ გააუმჯობესონ სკოლის ეზო საკუთარი ძალებით.
ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციებს.

იდეები შემაჯამებელი დავალებებისთვის:

ალტერნატივა 1. მოსწავლე ქმნის ილუსტრირებულ „წიგნს“: „ჩემი ეზოს ბინადრები“ - მოსწავლე იკვლევს, რა ცხოველები ბინადრობენ მის ეზოში, ახასიათებს მათ გარეგნობას, ქცევას (სად ცხოვრობენ, რით იკვებებიან და ა.შ.).

ალტერნატივა 2. პოსტერის შექმნა - ორენოვანი საგანმანათლებლო პოსტერი „ჩემი ეზოს მცენარეები“.

ალტერნატივა 3. ცხოველი სკოლის ეზოში - მოსწავლე შეარჩევს ცხოველს სკოლის ეზოსთვის; იკვლევს, როგორ უნდა მოუაროს მას, როგორი პირობები შეუქმნას, რით გამოკვებოს. დასასრულ, წერს რჩევებს და აფორმებს ტექსტს ნახატებითა და ფოტოებით.